



**ანგარიშვალდებულება დახმარების განხორციელებისას – კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია იმულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში**

- გამოკითხულ დევნილთა უმეტესობა ფიქრობს, რომ გარემონტებულ ბინებში გადასვლით მათი საცხოვრებელი პირობები შედარებით გაუმჯობესდა;
- მონახულებული 22 კოლექტიური ცენტრიდან 5 საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო, 17-ში კი რემონტის შემდგომი მნიშვნელოვანი დეფექტები გამოვლინდა;
- „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა“ და სამშენებლო კომპანიების მიერ არ მომხდარა სარემონტო სამუშაოების დეფექტების სათანადოდ გამოსწორება;
- გარემონტებული საცხოვრებელი ბინების პრივატიზაციის პროცესი გაჭიანურებულია.

**23 სექტემბერი, 2011, თბილისი** - „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავის ახალ ანგარიშს წარმოადგენს, რომელიც საქართველოში დევნილებისთვის კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას შეეხება. აღნიშნული კვლევა განხორციელდა პროექტის „დახმარების ეფექტურობის ხელშეწყობა“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ.

კვლევა მიზნად ისახავს 2009 წლის იანვარსა და 2011 წლის იანვარს შორის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ რეაბილიტირებული ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოების ხარისხის შეფასებასა და ასევე რეაბილიტაციის შესახებ დევნილთა ზოგადი მოსაზრებებისა და დამოკიდებულების ანალიზს. ჩვენ ასევე განვმარტავთ, თუ როგორ მუშაობს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ ტენდერებში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიებთან და რა როლს ასრულებენ ისინი რეაბილიტაციის პროცესში.

კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია დასავლეთ საქართველოზე, სადაც „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ დევნილთა სახლების სარეაბილიტაციო პროექტების დაახლოებით 80 პროცენტი განახორციელა. არსებული ცნობებით დასავლეთ საქართველოში რიგი კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია მაღალი ხარისხით არ შესრულებულა.

კვლევის ძირითადი დასკვნები შემდეგია:

- გამოკითხულ დევნილთა უმრავლესობა ზოგადად კმაყოფილი იყო მათი ბინების რეაბილიტაციით და აღნიშნავდა, რომ ბინები ახლა უკვე გამოიყურება და უფრო მყუდროა, ვიდრე ადრე.
- ჩვენს მიერ მონახულებული 22 კოლექტიური ცენტრიდან 5 საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო და სარემონტო სამუშაოების ჩატარების კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი დეფექტი არ აღენიშნებოდა.
- 17 კოლექტიურ ცენტრში გამოვლინდა რემონტის შემდგომი სერიოზული დეფექტები, მაგალითად ნესტი და ობი, რომელიც უკავშირდება სადრენაჟო სისტემების მოუწესრიგებლობას. ამ კოლექტიურ ცენტრებში ასევე გამოვლინდა საკანალიზაციო სისტემების არასათანადო შეკეთებასთან, სამშენებლო მასალისა და ზოგადად სარემონტო სამუშაოების არასათანადო ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები.



- ზემოთაღნიშნულ 17 კოლექტიურ ცენტრში „მუნიციპალური განვითარების ფონდისა“ და სამშენებლო კომპანიების მიერ არ მომხდარა სარემონტო სამუშაოების დეფექტების სათანადოდ გამოსწორება 1–წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდში.
- კიდევ ერთი ზოგადი პრობლემა დაკავშირებულია გარემონტებული კოლექტიური ცენტრების დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემის დაყოვნებასთან.

აღნიშნულ დასკვნებზე დაყრდნობით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შემუშავა რიგი რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისათვის. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, „მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის:

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა და „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ უკეთ უნდა მოახდინონ არსებული შენობების სარეაბილიტაციოდ შერჩევისა და სტრუქტურული შეფასების პროცესის კოორდინირება.
- სარემონტო სამუშაოები მორგებული უნდა იყოს თითოეული შენობის საჭიროებებსა და პირობებზე.
- „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ უნდა გააუმჯობესოს დეფექტების დაფიქსირებისა და ზედამხედველობის მექანიზმი.
- დევნილებს ნათლად უნდა განემარტოს ახალი მექანიზმი, რომელიც მათი საჩივრების საფუძველზე დეფექტების გამოსწორებას ითვალისწინებს.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა გააუმჯობესონ დევნილთათვის მუნიციპალური სერვისების მიწოდება, რათა გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში მოგვარდეს წყლისა და ბუნებრივი აირის მიწოდებასთან და ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები.
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ უნდა დაადგინოს თითოეული საპრივატიზაციო კოლექტიური ცენტრის დევნილების საკუთრებაში გადაცემის კონკრეტული თარიღი. პრივატიზაციის პროცესი უნდა დასრულდეს 2011 წლის ბოლომდე, როგორც ამას სამინისტრო შეპირდა დევნილებს.

#### საკონტაქტო პირი:

**ნანა ლოხუანიძე**, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, [nana@transparency.ge](mailto:nana@transparency.ge),  
(995 32) 932 129

**ლაშა გოგიძე**, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, [lasha@transparency.ge](mailto:lasha@transparency.ge),  
(995 32) 921 403



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ამ კვლევის ჩატარება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ გულუხვი დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პოზიციას ასახავს